წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კ.

თბილისი, სამშაბათი 27 ივნისი 1906 წ.

# ახალი ცხოვრება

თბილისი, სამშაბათი 27 ივნისი 1906 წ.

№ 6. ყოველ დღიური გაზეთი № 6.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ახალ ცხოვრებაზე“.

**გაზეთი ღირება:**

**თფილისში:** წლიურათ—6 მ., ექვსი თვით—2 მ. 50 კ., თვიურათ—50 კ.
**ქალაქს გარეთ:** წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

**ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба“.

## სოციალისტური პროლეტარიატი და რევოლიუციონური გლეხობა.

ამ დღეებში პოლშასა და ლიტვაში სოციალ-დემოკრატიული სიეზდი მოხდა. სიეზდზე 35 ათასი წევრი იყო წარმოდგენილი, და აი, ამ დიდებულმა სიეზდმა გადაჭრა, რომ სოციალდემოკრატიამ მხარი **არ უნდა დაუჭიროს** კადეტების მოთხოვნას შესახებ მათ მიერ შედგენილი სამინისტროსი (იხ. „ახ. ცხ.“ № 5). ჩვენ გავიგეთ, რომ ამავე დღეებში, პეტერბურგსა და მოსკოვში, სოციალდემოკრატიული კონფერენციები მომხდარა, სადაც ამხანაგები **იმავე გადაწყვეტილებს** დასდგომიან, რომელსაც პოლშისა და ლიტვის სოციალდემოკრატები (იხ. „ახ. ცხ.“ დღევანდელი №).

ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ „კავკასიის მეუმცირესეთა ბიურო“ სერიოზულათ ურჩევს „კავკასიის ყველა სოც.-დემ. ორგანიზაციებს“—„მხარი დაუჭირონ დუმის მოთხოვნას დუმის უმრავლესობისგან სამინისტროს შედგენის შესახებ“ (იხ. „ლამპ.“ № 50).

თქმა არ უნდა, რომ ერთნიც და მეორენიც სოციალდემოკრატები . არიან, თქმა არ უნდა, რომ როგორც პოლშისა და პეტერბურგ-მოსკოვის სოციალ-დემოკრატები, ისე „კავკასიის მეუმცირესეთა ბიურო“—ორივე სოც.-დემოკ. პოზიციას ადგანან, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც ორ სხვა-და-სხვანაირ გზაზე გვითითებენ: ერთნი გვეუბნებიან—მხარს ნუ დაუჭერთ კადეტების მოთხოვნასო მეორენი-კი დაჟინებით გვირჩევენ მხარის დაჭერას.

რაშია საქმე?

დღევანდელი რევოლიუციის მიზანი ხალხის თვითმპყრობელობაა. მაშასადამე, რევოლიუციის გამარჯვებაში დაინტერესებულია მთელი რევოლიუციონური ხალხი, ე. ი. არა მარტო პროლეტარიატი, არამედ რევოლიუციონური გლეხკაცობაც. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პროლეტარიატი, როგორც უფრო უშიშარი და პირდაპირი, წინ უძღვის რევოლიუციას, მაშინ როდესაც გლეხკაცობა პროლეტარიატის გარშემო იყრის თავს და მისი ხელმძღვანელობით ებრძვის რევოლიუციის მტრებს. რევოლიუცია მაღლა მაღლა იწევს, ჩვენ აჯანყების წინა დღეებში ვიმყოფებით. მაშასადამე. პროლეტარიატის მოვალეობაა მხარი დაუჭიროს **მხოლოთ** ისეთ ელემენტებს, რომლებიც, რევოლიუციის გამარჯვებას ეტრფიან და ხალხის თვითმპყრობელობისათვის იბრძვიან. ვინ არიან ასეთი ელემენტები, ყველაზე პირველათ რევოლიუციონური გლეხკაცობა და შემდეგ ქალაქის წვრილი ბურჟუაზია. აი ვის უნდა დაუჭიროს მხარი პროლეტარიატმა დღევანდელ რევოლიუციონურ ბრძოლაში. ვინ არიან კადეტები? ლიბერალ-მონარხისტები. რას ეტრფიან ისინი, ხალხის თვითმპყრობელობას? არა! პირიქით, ისინი ებრძვიან ხალხის თვითმპყრობელობას. მაშ რა უნდათ მათ? მათ მსხვილი ბურჟუაზიის თვითმპყრობელობა უნდათ. ამიტომაა, რომ ასე დაჟინებით ითხოვენ ისინი კადეტების სამინისტროს: ამისთანა სამინისტროს შემწეობით ისინი ერთ ბიჯს მაინც წასდგამდნენ მსხვილი ბურჟუაზიის თვითმპყრობელობისკენ. რა თქმა უნდა, ამით ისინი ვერ მოკლავენ რევოლიუციას—რევოლიუციის მოკვლა არც ეგრე ადვილია! მაგრამ ჩვენი საქმე არაა ხელი შეუწყოთ მსხვილი ბურჟუაზიის თვითმპყრობელობის დამყარებას მაშინ, როცა ცხოვრება ხალხის თვითმპყრობელობისკენ მიგვერეკება, ჩვენი საქმე არაა მხარი დაუჭიროთ კადეტების ანტირევოლიუციონურ მოთხოვნას მაშინ, როცა არსებობს ცხოვრებაში გლეხთა რევოლიუციონური მოთხოვნა შესახებ დამფუძნებელი კრებისა. რა თქმა უნდა, ჩვენში რომ რევოლიუცია არ იყვეს, ჩვენში რომ მყუდროება სუფევდეს, მაშინ ორი ხელით დაუჭერდით მხარს კადეტების მოთხოვნას ვინაიდან, რაც გინდა იყვეს, კადეტების სამინისტრო რამოდენიმეთ მაინც ემჯობინება გორემიკინის სამინისტროს. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროთ ჩვენში რევოლიუცია ღვივის, ჩვენ აჯანყების წინა დღეებში ვიმყოფებით და ამიტომ ჩვენი ვალია მხოლოთ იმათ დაუჭიროთ მხარი, ვინც რევოლიუციის მომხრენი არიან. მაშ ვის უფრო უნდა დაუჭიროთ მხარი: ოპოზიციონურ კადეტებს თუ რევოლიციონურ გლეხობას? რა თქმა უნდა რევოლიუციონურ გლეხობას. და აი, სწორეთ ასე სჭრიან ამ კითხვას პოლშელების სიეზდი და პეტერბურგელ-მოსკოველების კონფერენციები. სრულიათაც არა სცვლის საქმეს ის გარემოება, რომ კადეტები ოპოზიციაში უდგანან რეაქციას: სამაგიეროთ ისინი უფრო დიდ ოპოზიციაში უდგანან რევოლიუციას, ვინაიდგან კადეტები თანახმა არიან რეაქციას შეურიგდნენ (იხ. „ახ. ცხ.“ № 4. პრესა), მაგრამ არავითარ სურვილს არ აცხადებენ რევოლიუციასთან შერიგებაზე (იხ „პუტი“ № 89).

ასეთია პოზიცია ამხ. მეუმრავლესეებისა.

სულ სხვანაირათ ლაპარაკობენ „მეუმცირესეთა ბიუროს“ წევრები. მათი აზრით: „ძველი წეს-წყობილების ძირიანათ აღმოფხვრასა და დანგრევაში დაინტერესებულია მხოლოთ პროლეტარები და ნახევრათპროლეტარები. ბურჟუაზიულ კლასებს-კი მათი კლასობრივი ბატონობის შერჩენის ინსტიქტი ეუბნება ორპოფ პოლიტიკას დაადგნენ და შეურიგდენ ძველი წეს-წყობილების წარმომადგენელს—მონარქს“ (იხ. „ლამ.“ № 50).

გამოდის, რომ რევოლიუციის გამარჯვებაში **მარტო** პროლეტარები და ნახევრათ პროლეტარები ყოფილან დაინტერესებულნი, გამოდის, რომ რევოლიუციონური გლეხ-კაცობა, რევოლიუციონური არ ყოფილა, რადგანაც მას მხოლოთ „ორპოფი პოლიტიკა“ და „მონარქთან შერიგება“ შესძლებია! თუ რევოლიუციონური გლეხები პროლეტარიატთან ერთათ სისხლს ღვრიდნენ, თუ ისინი პროლეტარიატთან ერთათ იბრძოდნენ, ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ ვითომ ხალხის თვითმპყრობელობა უნდოდათ არამედ იმას, რომ დაინტერესებული არ ყოფილან „ძველი წესწყობილების ძირიანათ აღმოფხვრაში“! ამიტომაა, რომ „ბიუროს წევრებს“ პროლეტარიატი სრულიათ გამარტოვებელი ჰგონიათ დღევანდელ რევოლიუციაში, ამიტომაა, რომ „ბიუროს წევრები“ ასე დაჟინებით ურჩევენ გამარტოვებულ (ვითომდა გამარტოვებულ!) პროლეტარიატს მხარი დაუჭიროს ყოველგვარ ოპოზიციონურ მოთხოვნას, თუნდაც რომ ეს მოთხოვნა კადეტების სამინისტროს ეხებოდეს, თუნდაც რომ ეს ოპოზიციონერები რევოლიუციის წინააღმდეგ მიდიოდნენ. ცხოვრება ამობს, რომ რევოლიუციას ორი უმთავრესი ძალა ჰყავს: პროლეტარიატი და რევოლიუციონური გლეხკაცობა „ბიუროს წევრებს“ არა სწამთ ეს სიმართლე, მათ არ სწამთ, რომ რევოლიუციონური ლეხობა უძლიერესი ბურჯია დღევანდელი რევოლიუციისა, ისინი ერთმანეთში ურევენ ყველა ბურჟუაზიული ელემენტებს და ვერ არჩევენ, რომ მებრძოლი გლეხკაცობა დღევანდელ ბრძოლაში საძირკვლიანათ გაირჩევა სხვილი და საშუალო ბურჟუაზიისგან. ცხოვრება ამბობს, რომ დღევანდელ რევოლიუციაში პროლეტარიატი განმარტოვებული არაა, რომ მას გვერდში უდგია მებრძოლი გლეხობა. „ბიუროს წევრებს“ არც ეს სწამთ და განმარტოვებულათ მიაჩნიათ პროლეტარიატი. ამიტომაა, რომ ასე გაფაციცებით ურჩევენ უბრალო ოპოზიციის მხარის დაჭერასაც კი, თუნდაც რომ ეს ოპოზიცია უარყოფდეს რევოლიუციას.

ასეთია პოზიცია „ბიუროს“ წევრებისა.

ვინ არის მართალი—დეე ის მკითხველმა გაარჩიოს.

ქობა.

**პეტერბურგის ს. დ. ორგანიზაციათა კონფერენციაზე მეუმრავლესეების რეზოლიუციამ გაიმარჯვა.—სადგურ იუზოვკასთან შეტაკებამ და დრაგუნებმა 10 ათას მუშის მიტინგს ტყვიები დაუშინეს, ბევრი მუშა დაიჭრა.—ასხაბადში ჯარი აჯანყდა, მთავრობის აფიცრები გააძევა და თავისი აირჩია. ტრუდოვიკი დუმის სამინისტროს მოთხოვნას მხარს უჭერს.**

## ახალი ამბები

ელენე წულუკიძეს 25 ივნისს შემდეგი დეპეშა გაეგზავნა:

„თფილისის ამხანაგები, რომელთაც შეძლება არ ქონდათ თავისი წარმომადგენელი გამოეგზავნათ ძვირფასი ამხანაგის—საშას ხსოვნის პატივ-საცემათ, რომელმაც თავის სიცოცხლე შესწირა ბრძოლას სოციალიზმისათვის, ქალაქის და სოფლის პროლეტარიატის საქმისათვის, მთელი კაცობრიობის ბედნიერება და სიხარულისათვის—ერთი აზრით და ერთი გრძნობით აღჭურვილნი შევიკრიბეთ-რა ერთათ გარდაცვალებულის ამხანაგები გამოვთქვამთ თავის რწმენას, რომ ის ამხანაგები, რომლებიც ამ დღეს შეიკრიბენ სახელოვანი რევოლიუციონერის საფლავის გარშემო, მოიპოვებენ კიდევ უფრო მეტ მხნეობას და გაბედულებას იმ გზაზე სასიარულოთ, რომელმაც იმსხვერპლა უდროოთ დაკარგული ამხანაგი-მეგობარი და მით უფრო დააჩქარებენ იმ იდეების გამარჯვების საქმეს, რომლების საუკეთესო გამომხატველათ კავკასიაში და რ. ს.-დემ. მუშათა პარტიაში იყო დაუღალავი მებრძოლი საშა წულუკიძე.

თბილისის კომ. რ. სოც.-დემ. მ. პარ.

✦ ამიერ კ. რკ. გზის უფროსმა **ნეიგებაუერმა** გამოსცა **შემდეგი განკარგ**:

თფილისის სახელოსნოებში 22 ივნისს მომხდარ გაფიცვის მიზეზების გამორკვევამ დაგვიმტკიცა, რომ გაფიცვა მოხდა არა მოსამსახურეთა ინიციატივით, არამედ მათი სულმოკლეობისა გამო. ამისთვის ნებას ვრთავ 26 ივნისიდან გაიღონ ისევ სად. თფილისის სახელოსნოები და დეპო ხოლო წესიერების დარღვევისათვის ზემოთ დასახელებულ სახელოსნოებისა და დეპოს მუშებს აღარ მოემატებათ ივლისში ჯამაგირი. აგრეთვე არ მიეცემათ კვირაუქმეების სამუშაო, გარდა იმ შემთხვევისა, რომელსაც აუცილებლათ დაინახავს ტიაგის უფროსი. ვინც 26 და 27 ივნისს არ გამოცხადდება სახელოსნოებში ის დათხოვნილი იქმნება სამსახურიდან.

✦ ამას გარდა ნეიგებაუერმა გამოსცა კიდე შემდეგი განკარგულება: თფილისის საორთქლმავალო ბრიგადის მიერ 22 ივნისს გამოცხადებულ გაფიცვის გამოკვლევამ დაგვიმტკიცა, რომ გაფიცვა მოხდა არა მოსამსახურეთა ინიციატივით, არამედ მათი სულმოკლეობისა გამო. ამისთვის ნებას ვრთავ მათ დაიწყონ მუშაობა 26 ივნისს 12 საათიდან.

✦ გუშინ ქალაქში გაკრული ყო **გენერალ გუბერნატორის ბრძანება**, რომლის ძალითაც ქალაქის ყველა ვაჭრი

და მრეწველი დაჯარიმებულია 22 ივნისს მომხდარ გაფიცვისა გამო. ჯარიმები ასეა განაწილებული: პირველი ხარისხის მოწმობის მქონე მოვაჭრეებს 200 მანეთით, 2—100 მანეთით. 3—50 მან. 4—15 მან., მრეწველები პირველი კატეგორიის—200 მანეთით, 2—100 მან. 3—50 მან. 4—25 მან. 5—20 მან. 6—10 მან. 7—5 მან., ხოლო მერვე კატეგორიისა 5 მანეთით. თუ ვინიცობაა 28 ივნისამდე ჯარიმები არ იქნა ხაზინაში შეტანილი, მაშინ ყველა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულება გენ. გუბერნატორის ბრძანებით დაიკეტება.

✦ გუშინ ადმინისტრაციის განკარგულებით დაიხურა გაზეთი „კავკაზსკაია რეჩ.“

✦ კვირას, 25 ამ თვეს, სად. 4 საათი იქნებოდა, ბოქაული მონასტერსკი საერობო დარაჯის თანხლებით ეტლით სადღაც მიექანებოდა, არსენალის გორაკს, რომ მიუახლოვდა, გზაზედ მიმავალთ ასოთ-ამწყ. დონ-ლანს და კ. მ-ვას უმიზეზოთ ნაგანის რევოლვერი დაუმიზნა, მაგრამ ამ უკანასკნელებმა თავს უშველეს და იქვე სახლის კედელს სწრაფად ამოეფარნენ.

✦ სამხედრო საოლქო სასამართლომ უკვე დასრულა მინ რელსკი პოლკის სალდათების საქმის გარჩევა და 25 ივნისს სასამართლოს თავმჯდომარემ გამოაცხადა განაჩენი. ამ ჟამათ გაირჩა საქმე მხოლოთ 22 სალდათისა. რადგან ერთი გაიქცა ხოლო 4 ავათაა, 22 სალდათიდან სასამართლომ მედვედევს, პარშინს და პერევერზინს მიუსაჯა დისციპლინარულ ბატალიონში სამის წლით გაგზავნა. ანშტეინსა და სპორინს - ორი წლით: სოკოევსა და ოკოევს—ერთის წლით, ვანჩენკოსა და ნიკიფოროვს ექვსი კვირით სამხედრო სტუსაღოში ჯდომა, მინეევს, ფედოტოვს, კობაიძეს და გრიგორიევს—20 დღით დაპატიმრება დანარჩენი კი: ზაგაევი, კოტუნოვი, ენდერიბოიკო, გურტოვსკი, ლინკინი, გრეელოვსკი, მანუკოვი და რეზცოვი სრულიათ გაანთავისუფლეს. ბრალდებულთ იცავდენ ამხ. კ. ჯაფარიძე და ბ-ნი კლანკი. საქმე 4 დღე ირჩეოდა. გამოკითხეს 33 მოწმეს

✦ 25 ივნისს დილის 10 საათზე გოგოლევის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა რევოლვერით სასიკვდილოთ დასჭრა რკინის გზის ობერ-კონდუკტორი მიხაილოვი. მსროლელი მიიმალა.

✦ 24 ივნისს ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოკლა მეცხრე პოლიციო ნაწილის ზედამხედველი გაიდუკოვი. ამ საქმის გამო ექვით დაატუსაღე ყორღანოვის კონკის კონდუკტორი მიქამეთაძე და კუჩერები: ტ. მაჩაიძე და ი. მაზმიშვილი.

✦ 22 ივნისს საზოგადო გაფიცვისა გამო რკ. გზის საზოგადოებისა და დეპოს მოსამსახურეები და მუშები გაანთავისუფლეს და ყველანი მუშაობას შეუდგნენ.

✦ უსაქმოთ დარჩენილ ინტელიგენტთა ბიურო აცხადებს რომ 28 ივნისს დილის 9 საათზე 1 საათამდე დანიშნულია უსაქმოთ დარჩენილ ინტელიგენტებისა ქალაქ. თვითმართველობის სადგომში.

✦ როგორც იტყობინებიან, ფოთის რკინის-გზის და ნავთსადგურის აფიცულმა მუშებმა ისევ დაიწყეს მუშაობა 24 ივნისს დილისს 6 საათიდან.

✦ უსაქმოთ დარჩ. საბჭომ გაირჩა საქმე 90 კაცისა, რომელნიც არმავირიდან სამუშაოთ გამოუწერია ბარონ კუჩენბახს და შეპირებია დღეში 80 კაპეიკი. მაგრამ მუშებისათვის უძლევია მოსვლის შემდეგ 50 კ. მუშები არ დასთანხმებულან, რისთვისაც სამაზრო ადმინისტრაციას 20 მათგანი დაუპატიმრებია, ხოლო დანარჩენი თბილისში დარჩენილა უსაქმოთ. საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს ქალაქ. საბჭოს წინაშე, მისცეს მათ ბინა და საზრდო, აგრეთვე ფული სამშობლოში წასასვლელათ. ვინც აქ დარჩენას ისურვებს იმათ ქალაქის სამუშაო მიეცემათ

## მეტეხის ციხე.

(შენდეგი) *).

ერთ საათში პროკურორის ამხანაგი ციხეში გაჩნდა და ყელ-მოღერებით მიმართა ხალხს: „ბატონებო, აი მე მოვედი თქვენი სურვილების გასაგებათ და გთხოვთ ამოირჩიოთ რამდენიმე კაცი, რომლებიც თქვენ მოთხოვნებს გამაცნობენო. ხალხმა ერთხმათ მოითხოვა, რომ ჩინოვნიკი მათ პირდაპირ მოლაპარაკებოდა. შემკრთალი ჩინოვნიკი უსიტყვოთ დაეთანხმა მათ. ამის შემდეგ ჯერ პოლიტიკურები ელაპარაკნენ და, ასწერეს რა უფროსის ბარბაროსულ-პროვოკატორული საქციელი, ერთხმათ მოითხოვეს—დღისით კამერები ღია იყოს, დაკმაყოფილებული იქნას ყველა „უგოლოვნების“ მიერ წამოყენებული მოთხოვნები და გადაყენებულ იქნას უფროსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, უთხრეს ათ, ჩვენ ბრძოლას არ შევსწყვეტთ, გინდაც, რომ ის სიცოცხლის ფასათ დაგვიჯდეს. შემდეგ „უგოლოვნებმა“ გაიმეორეს ის მოთხოვნები, რომლებიც ამ რამდენიმე ხნის წინათ წარუდგინეს ციხის ადმინისტრაციას და რომლებიც, ჩვეულებრივათ, უყურადღებოთ იყო მიტოვებული. (ეს მოთხოვნები რუს. გაზ. „Разсвѣтъ № 2-ში“ იყო დაბეჭდილი). ამ მოთხოვნებს მიუმატეს სანოვაგის მომტანის სამზარეულოში შეშვება წინანდებურათ, და უფროსის დათხოვნა. მოუსმინა რა ყველა ეს ჩინოვნიკმა, განაცხადა—ამ თქვენ მოთხოვნებს მე გადავცემ, სადაც ჯერ არს და ვეცდები, რომ პასუხი, რაც შეიძლება ჩქარა მიიღოთ, მანამდის-კი თქვენ კამერებს დაუბრუნდითო. ამის პასუხათ ხალხმა ერთხმათ იჭექა და გამოუცხადა: ჩვენ ცარიელი პასუხი-კი არა, დაკმაყოფილება გვინდა და სანამ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება აქედან ფეხსაც არ მოვიცვლითო. ამათო ირწმუნებოდა მოხელე, რომ ახლავე პასუხის გაცემა შეუძლებელია, რომ ამის უფლება მას არა აქვს და სხ... ხალხი მაგრათ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე, ერთი „უგოლოვნი“ მივარდა მოხელესთან და აღელვებული ხმით შეჰკივლა: „თუ უფლება და ძალა არა გქონდა, მაშ აქ რისთვის მოეთრიეო!“ ჩინოვნიკმა იკადრა დაეჩქარებინა საქმე და, განაცხადა რა, რომ ორ საათში მიიღებთ პასუხსო, წავიდა. ხალხმა-კი რევოლიუციონური სიმღერებით ციხის ერთი ეზოდან მეორეში. მეორიდან მესამეში დაიწყო მიმოსვლა და დათვალიერება იმ ცხრაკლიტულების, რომლებთან ახლო მისვლაც „კანონით“ „სასტიკათ აღკრძალულია“. როცა ამ დემონსტრაციებით მოიღალნენ ისევ ერთად მოიყარეს თავი და დაიწყეს სჯა-ბაასი, პასუხის მოლოდინში.

პასუხის მაგივრათ მოვიდნენ ვიცე-გუბერნატორი, საოლქო სასამართლოს პროკურორი და პოლიცმეისტერი, თავის გაწვრთნილი თანამხლებლით, შეიარაღებულ ლეკით. ვიცე-გუბერნატორი ავიდა ტრიბუნაზე და განაცხადა, რომ ის ეხლა გუბერნატორის მოვალეობის აღმასრულებელია და მოვიდა კან-ნის წარმომადგენელთან ერთათ მოუსმინოს ტუსაღებს და შეძლებისა დაგვარათ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები. მაგრამ, დასძინა მან, ეს ყრილობა უკანონოა, მე-კი უკანონო პირობებში უფლება არა მაქვს მოლაპარაკება გავმართო თქვენთან; ამიტომ გთხოვთ აირჩიოთ, რამოდენიმე დეპუტატი და დანარჩენები თავ-თავის ადგილს წაბრძანდეთ. ამაზე ხალხმა უპასუხა — თქვენ შედით კანცელარიაში, ჩვენ მოვილაპარაკებთ თქვენ წინადადებაზე და გაცნობებთო. ვიცე-გუბერნატორი დასთანხმდა და შევიდნენ ყველანი კანცელარიაში. ამის შემდეგ გაიმართა ნამდვილი მიტინგი. აირჩიეს თავმჯდომარე და დაიწყეს მსჯელობა დეპუტაცის არჩევა არა არჩევაზე. ტრიბუნათ იქვე ეზოში მდგარი ტახტი გადაიქცა. აზრი ორათ გაიყო. ერთი რიგი ორატორებისა წინააღმდეგი იყო

*] იხ. № 5.

# ფელეტონი

## ქალაქის რევოლიუცია

(თარგმანი)

ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობა ბევრნაირათ გაირჩევა დასავლეთისაგან, სხვათა შორის იმითაც, რომ ფართეთ ედება პროვინციებს.

ფინლიანდიაზე, პოლონეთზე, კავკასიაზე, ებრაელებზე, სომხებზე და სხვა დაჩაგრულ ერებზე რომ არც კი ვილაპარაკოთ,—რევოლიუციის ტალღები სამხრეთ და შიდა რუსეთშიაც შესამჩნევათ იზრდება. პროვინციები დღით-დღე ფეხზე დგება. ეს ასეც უნდა იყოს. მთავრობის ძალა აქ უფრო სუსტია, უფრო ნაკლებათაა დაშორებული საზოგადოებისაგან, ჯარი ნაკლე ია, პოლიცია ისე გაწვრთნული არაა, როგორც სატახტო ქალაქში, კაზაკები უფრო ცოტაა, დვორნიკები უფრო მოტეხილია და სხვა. მეორე მხრივ, რევოლიუციონერები და ხალხი უფრო ახლო დგანან ერთმანეთთან, ახალგაზდობას მეტი პატივით ეპყრობიან და აგიტაციური მუშაობა უფრო მუყაითათ მიდის. პროვინციის მთავრობა უფრო ჩქარა იბნევა და, ესეც რომ არ იყვეს, ზემოდან ნება დაურთველათ დიდს მაინც ვერას ითავებს. ჩვენ კი უფრო თავისუფალი ვართ ამ მხრივ. თავის თავათ ცხადია, რომ პროვინციებში უფრო ადრე მოგვიხდება დროებით მთავრობაზე ლაპარაკი. ჩვენი პარტია მუდამ მზათ უნდა იყოს ამისათვის. ჩვენ არ შეგვიძლია გულხელი დავიკრიფოთ და პირლია შევყუროთ „ცხოვრებას“ იმ დრომდე, სანამ ბურჟუაზია ჩვენი სისხლის ღვრით ისარგებლებს, თითგაუნძრევლათ დაიპყრობს მთელ ძალას და თავის სასარგებლო წესებს გამოაცხობს—ეს მუშათა ინტერესების გაყიდვა იქნებოდა!.. პროვინციალური ქალაქების აჯანყებას მხოლოთ იმდენათ აქვს მნიშვნელობა, რამდენათაც ის შეუერთდება ხალხის საერთო აჯანყებას. ამიტომ ცალკე ქალაქების აჯანყებმა იმ დრომდე უნდა გასტანოს, სანამ აჯანყების ქარტეხილი ყველა დიდ კალაქებს არ მოედება, სანამ მეფის მთავრობა ყირაზე არ გადმოვარდება. კითხვა იმაშია თუ როგორ განვაგრძოთ ეს აჯანყება იმ დრომდე? თუ ხანდახან რევოლიუციონერებს შეუძლიათ ხალხის ამაფეთქებელი ფაქტებით ისარგებლონ (მაგალითად, ჯარის დამარცხებით, სიმშილობით, მობილიზაციით) ჩვენ მაინც სახეში უნდა ვიქონიოთ რომ დღევანდელ დღეს, რუსეთში ამისთანა ფაქტების წინასწარ გაგება ძნელი მოსახერხებელია. მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენი კომიტეტები მუდამ მზათ იყვეს ხერხიან დროს, როცა დიდი გაფიცვა იწყება, სალთათები „ბუნტობენ“, ან ღაყუმბარებით ემუქრებიან ქალაქს მატროსები, როგორც ეს ადესაში იყო. ამისთანა დროს კომიტეტს უნდა შეეძლოს უცებ თავი მოუყაროს ძალებს, რახმებათ დააწყოს და მტერზე მიიყვანოს.

ამისთვის-კი საჭიროა ადრევე მომზადებული ვიყვეთ. და აი როგორ. ვთქვათ ქალაქის ხალხი მთავრობისადმი სიძულვილითაა გამსჭვალული, ის ყოველთვის შეიძლება ფეხზე დადგეს, თუ-კი შემთხვევა მიეცემა რამე. ეს-კი იმასა ნიშნავს, რომ რიცხვით უკვე მზათა ვყოფილვართ, საკმაო ძალა გვქონია. მარა ეს კიდევ არა კმარა. აჯანყება რომ მოვიგოთ, საჭიროა ადრევე შევადგინოთ ბრძოლის „პლანი“, ადრევე შევიმუშაოთ შეჯახების ტაქტიკა, საჭიროა აწყობილი რაზმი გვყავდეს. საჭიროა ადრევე ვიცოდეთ ჩვენ-ჩვენი ადგილი, რომ, მოგვცემენ თუ არა აჯანყების სიგნალს, მაშინვე თავთავის ადგილებზე ვიდგეთ. ამიტომ ორგანიზაცია რამდენიმე რაზმათ უნდა დაიყოს, თანახმათ ქალაქის უბნებისა. საჭიროა ყოველი მღელვარების დროს, როცა კი მოსალოდნელია აჯანყება. სამი ამხანაგი მაინც მორიგეობდეს ქალაქის ცენტრში. თუ აჯანყება ადრევე გათვალისწინებული არაა, თუ შესაძლო იქნება აჯანყების დაწყება,—სამმა მორიგე ამხანაგმა უმალვე უნდა აცნობოს ყველა რაზმებს. რაზმებმა თაობითვე უნდა იცოდნენ, თუ რას გააკეთებენ. ერთი მათგანი, ვთქვათ, ქალაქის „უპრავისკენ“ გაემართება: მეორე—ჯარების მთავარ სარდლისკენ; მესამე—პოლიციისკენ; მეოთხე—არსენალისა და თოფების მაღაზიებისკენ; მეხუთე—„ხაზინისკენ“; მეექვსე ბარიკადების ასაშენებლათ და სხვა. გვახსოვდეს, რომ, რაც უნდა მცირე იყვეს რევოლიუციის ჯარი, მაინც არ ვარგა ყველა რაზმების ერთბაშათ გასვლა: მცირე ნაწილი უეჭველათ უნდა დარჩეს სათად რიგოთ. და აი რატომ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ საკმაო რაზმები არ დაგვირჩა, — მაშინ თავი და თავი საქმე - „უპრავის“ აღება იქნება. და ამაზე ადვილი არც არა იქნება რა იმ ალიაქოთის დროს, რომელსაც აჯანყება გამოიწვევს. „პატემკინის“ აჯანყების დღესვე რომ წინ გასძღოლოდნენ ხალხს ჩვენი ამხანაგები, მაშინვე, რომ ხელში ჩაეგდოთ ქალაქის „უპრავა“, შეეპყრათ პოლიცმეისტერი და, თუ შესაძლო იყო, მთავარ სარდალიც,—ადესა ხალხის ხელში იქნებოდა და სისხლიც ნაკლებათ დაიღვრებოდა. აი რისთვისაა საჭირო ადრევე შემუშავებული კარგი „პლანი“. აჯანყების პირველ დღესვე უნდა ვისარგებლოთ „ჩინოვნიკების“ უნუგეშო მდგომარეობით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინი „უმაღლესი მთავრობის“ ყურმოჭრილი მონებია, უუფროსებოთ ერთ ბიჯსაც ვერ გადაადგამენ,—ასე აღზარდა ისინი მეფის მთავრობამ. თუ პოლიცმეისტერს დავატყვევებთ, ლაპარაკი არ უნდა, რომ პოლიცია აირევ-დაირევა, როგორც უთაოთ დარჩენილი. უეჭველია, ესეთივე არევ-დარევა მოხდება ჯარშიაც, თუ მთავარ-სარდალს ხელში ჩავიგდებთ. ძვირფასი რამაა აჯანყების დროს—წინდახედულობა. უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგიერთა ადგილებში დროები მაინც უკუქცეული ყიქნებით. მით უფრო საჭიროა სათადარიგო რაზმები გვყავდეს, რომ სხვა ადგილებში დავესხათ, თავზარი დავსცეთ მტერს და უკუვაქციოთ. აი ამიტომაა საჭირო, რომ „უფროსების“ დატყვევებასთან ერთათ იარაღისა და ფულის დაპყრობასაც შევეცადოთ. რაზმი, რომელსაც იარაღის საქმე აქვს მინდობილი, თამამათ გასწევს წინ გაიყოლიებს ხალხს და თავს დაესხმება არსენალს და თოფების მაღაზიებს. იარაღი იქვე დაურიგდება

არჩევნებისა, მეორე მომხრე. ბოლოს ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: ავირჩიოთ დელეგატები, 10 კაცი, გავგზავნოთ მოსალაპარაკებლათ და ჩვენ აქ ვიყვნეთ, რომ ისინი, არჩეულები, უფრო მხნეთ და იმედიანათ იყვენ და თან თვალყური ვადევნოთ, რომ მტარვალებმა ისინი სხვა ციხეში არ გაგზავნონო. *) აარჩიეს 10 კაცი—5 პოლიტიკური, 5 „უგოლოვნი“ და გაგზავნეს. გუბერნატორმა დელეგატებს უთხრა თუ ხალხი არ დაიშლება ისე მოლაპარაკება არ შემიძლიაო. დელეგატები უკან დაბრუნდენ. გამოვიდნენ თუ არა კარებიდან ხალხი მაშინვე მიუახლოვდა მათ, ერთი მათგანი საჩქაროთ ხელით ასწიეს (ტრიბუნამდე აღარ მიუშვეს) და უთხრეს ჩქარა გვაცნობე რა მოხდაო. დელეგატებმა გადასცეს გუბერნატორის წინადადება. გაიმართა კიდევ მიტინგი. კარგა ხნის მსჯელობის შემდეგ, ვიცე გუბერნატორის წინადადება უარყვეს და გადასწყვიტეს, რომ ადგილიდან არ დაძრულიყვნენ.

(დასასრული იქნება)

## ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

როგორც ნამდვილი წყაროებიდან გავიგეთ პეტერბურგში ამ დღეებში მომხდარა სარაიონოთა შორისო კონფერენცია, რომელსაც ხმის უმეტესობით უარუყვია ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია დუმის მიერ პასუხის მგებელი სამინ სტროს მოთხოვნის მხრის დაჭერის შეს ხებ. კონფერენციას პეტერბურგის კომიტეტის რეზოლიუცია მიუღია, რომელიც „მეუმრავლესეთა“ პოზიციის გამომხატველია. ასეთივე რეზოლიუცია მიუღია მოსკოვის სარაიონოთა შორისო კრებაზეც აუ რებელი ხმის უმე ესობით.

—

მეჩექმეების ცეხი. 24 ამ თვეს მოხდა პარტიული კრება მეჩექმეების რეორგანიზაციის წესდ. პროექტის განსახილველათ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ერთხმათ მიიღეს მთელი პროექტი შეუცვლელათ.

*) მიტინგთან ციხის უფროსი მოსულიყო და ორატორების ლაპარაკს ყურს უგდებდა. თავმჯდომარემ მოსთხოვა მიბრძანება, მაგრამ მას ცოტა ეზარებოდა. მაშინ ხალხმა ერთხმათ შეაძახა: ძირს უფროსი, ძირს ძველი რეჟიმი! (მეტ სახელს ძველ რეჟიმს უძახიან) და იმანაც იკადრა მოშორება.

## ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

**თბილისის წყლის საყვან მილების სახელოსნოები.** თბილისის წყლის საყვან მილების სახელოსნოების შეგირდების მდგომარეობა სწორეთ რომ აუტანელია. რომელ სახელოსნოშიაც მიხეიდეთ ნახავთ 10-11 წლ. ხნიან შეგირდს. სისხლის მწოველი ხაზეინები ამ მცირე წლოვან ბავშვებს რაც მოესურვებათ იმას აკეთებინებენ. ხშირათ დაინახავთ ტირილით მიმავალ წელში მოკაკულ შეგირდს, ზურგზე იარაღის ყუთით და მხრებზე თუჯის მილებით. ამასაც არ სჯერდებიან სისხლის მწოველები და ამუშავებენ 6-10 საათს. ვაი იმ შეგირდს რომელიც გაბედავს ხაზეინის საწინააღმდეგოთ ერთ სიტყვასაც, დიდიხნის ცემის შემდეგ ველარ ეღირსება სახელოსნოში შესვლას. ამის დასამტკიცებლათ მეტი არ იქნება რომ ორიოდე მაგალითი მოვიყვანოთ. სახელდობრ ბ. რონზბერგი რომელმაც სამი შეგირდი ულუკმა პუროთ გაყარა ქუჩაში (იმიტომ რომ მოითხოვეს ზედმეტი მუშაობის მოსპობა და ზრდილობიანი მოპყრობა და სხვა და სხვა).

მეორე ბ. ერმიშოვი, რომელიც ყველაზე უდიერათ ეპყრობა შეგირდებს. და აგრეთვე ბ. ვოზდორფი, რომელსაც ჩაუხელებია ყოველ მხრიდან დაჩაგრული შეგირდები და თავის ქეიფისამებრ ამუშავებს. ვამბობ, ყოველ მხრიდგან დაჩაგრულს იმიტომ რომ თუ შეგირდებმა რაიმე წინააღმდეგობა გაუწიეს, ერთი მხრით ბ. ვოზდორფი უმასპინძლდება ცემით, მეორე მხრით მშობლები, რადგან ვოზდორფს და შეგირდების მშობლების შორის კაი განწყობილებაა. (ბ-ნ ვრონზბერგ და ერმიშოვის გვარებს მკითხველები არა ერთხელ ამოიკითხამდენ ელვისა და ლამპრის ნომრებში) ასევე იქცევიან ძმანი მათნი. ვნახოთ ახლა შეგირდები 9—10 საათითაც სარგებლობენ თუ არა. დადგენილია ყველგან არამც თუ მარტო ვოდაპ. ცეხში, არამედ ყველა პროფესიის მუშებში. საუზმისთვის ნახევარი საათი და სადილისთვის 1 საათი, ან 1 საათ. ნახევარი. საბრალო შეგირდებს არც საუზმის და არც სადილის დროს ასვენებენ გაუმაძღარი ხაზეინები. ხაზეინს თვალებში უნდა შესცქეროდეს როდის ეტყვის შეგირდს წადი პური იყიდე და ჭამეო. ესეც ყველას ერთად როდი აძლევს ნებას, რომ ერთად დასხდენ და მოსვენებით ისად ლონ. პირიქით ცალცალკე, ვინაიდგან ზოგს გზავნის ბაზარში რაიმეს საყიდლათ და ზოგს კიდე ამუშავებს, მინამდის სანამ ერთი გაათავებს მუშაობას მეორე პურის ჭამას, და ასე ამ რიგათ მეორდება მუდამ. სულ მცირე რამ უფრო მოზრდილ სახელოსნოებში დღეში ეძლევა შეგირდს პურის ფული 15—20 კაპ. უფრო წვრილ სახელოს. კი 10—15 კაპ. ტანისამოსის ფულათ მოზრდილ სახელოსნოებში ეძლევათ თვეში 1 მ. 1 მ. 50 კაპ. წვრილებში კი 1 მ.—1 მ. 20 კაპ. ესე რომ თუ ნაღდათ იღებდენ კიდე არა უშავს რა. ავათმყოფობის დროს ან დასახიჩრებულებს არაფერი არ ეძლევათ. ასეთია მოკლეთ შეგირდების ცხოვრება, 5 წ. უნდა გაატაროს შეგირდმა რომ ისწავლოს არა ხელობა არამედ მოთმინება და მორჩილება.

**ოსი.**

—

**ვერის პოდრაიონი.** სამთლის ზავოდის მუშების გაფიცვა გათავდა. მუშებმა ყველა მოთხოვნილებანი (იხ. ახ. ცხ. № 1) მოიგეს, გარდა 8 ს. სამუშაო დღისა და ხსენებულ პროცენტებით ჯამაგირების მომატებისა. ყველა მომუშავეს მოემატა ხუთ-ხუთი მანეთი, „სტოროჟებს“ სამ-სამი მან. და ორი კვირის ოტპუსკის ნება აქვთ ყველას წელიწადში ერთხელ. დანარჩენი მოთხოვნილებანი სრულიად მოიგეს. ამ გვარათ გაფიცვა მუშების გამარჯვებით გათავდა, რამაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება იქონია მათზე.

არც სხვა გაფიცული, მაგ. სარაჯოვის ზავოდის და ბოზარჯიანცის ქარხნის მუშები არიან სულიერათ დაცემულნი. ისინიც თვალყურს ადევნებენ მუშათა გაფიცვების საზოგადოთ გამარჯვებებს და ძალიან გამხნევებული იმედით შეჰყურებენ თავიანთ გაფიცვის დაბოლოვებას. „ან ჩვენი გამარჯვება, ან ქარხნის დაკეტვა“-ო აი ასე გაიძახიან მუშები და მართალსაც ამბობენ, რაც დრო გადის მეტი ხარჯი მოსდით და ვალიანდებიან და ამის გამო უფრო მეტის ენერგიით იბრძვიან გამარჯვებისათვის. აი რა სთქვა ერთმა შეგნებულმა მუშამ რაშიც თვისი ამხანაგების აზრიც გაატარა: „ხაზეინებს ჰგონიათ შევწუხდებით და სამუშაოს შევეხვეწებით, მაგრამ სცდებიან, როდესაც ვერ მიმხვდარან, რომ ჩვენს ეხლანდელ გაფიცულ დღეების ზარალს გამარჯვებით აეინაზღაურებთ. რაც მეტი დღე გავცდებით, იმდენი მეტი ზარალი მოუვათ მათო!“ მგონი რომ ეს ასეც მოხდეს.

რამდენათაც ეს გვამხნევებს, იმდენათ სამწუხაროთ გვრჩება ჩვენ აგურებზედ მომუშავეთა მდგომარეობა. ძალზედ მცირედი ხელფასი, განუსაზღვრელი სამუშაო დრო, ანტიჰიგიენური მდგომარეობა სამუშაოებში, და შეუგნებლობა, დაუმატეთ ზედაც პირველყოფილ საშუალებით აგურების მზადება და საძაგელი „კაბალა“ გადიშლება თქვენ თვალწინ. საჭიროა ამას თათრული ენის მცოდნე ამხანაგებმა მიაქციონ ყურადღება, რადგანაც ნიადაგი უკეთესი არ იქნება სოც-დემ. აზრების გასავრცელებლათ თათრებში, როგორიც ეს აქ არის.

მუშების რიცხვი თუ მედროგეებიც მოუმატეთ, 500 აეა.

**ქრიხტე.**

## Რ Უ Ს Ე Თ Ი

**ჯარი ღელავს.** 18 ივნისს სამხედრო სამინისტრომ ასხაბადის გენერალ-გუბერნატორისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „13 ივნისს სტრელკების მეორე ბატალიონის სამ ჯარის კაცს დისციპლინარული ბატალიონ. გადაუწყვიტეს სასჯელათ, რადგან იმათ დარაჯობის დროს ერთი ტუსაღი გაიქცა. მეორე ბატალიონ ა პროტესტი გამოაცხადა ასეთი სასჯელის წინააღმდეგ და 35 მუხლი მოთხოვნა წარმოადგინა. ბატალიონის უფროსმა კანონიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილება აღუთქვა ბატალიონს. 15 ივნისს ბატალიონის ყველა ჯარის კაცებმა მიტინგი გამართეს, აფიცრები განდევნეს და ბატალიონის უფროსი და სხვა თანამდებობის პირები თავიანთ შორის აირჩიეს. 16 ივნისს საჭიროთ დავინახე, თითონ მე გავსულიყავი ბატალიონთან და მომესმინა მისი მოთხოვნები. მე აღუთქვი ზოგიერთი მოთხოვნათა დაკმაყოფილება და კანონიერ წესიერების დამკვიდრება ვურჩიე ჯარის კაცებს, მარა ბატალიონმა ყურადღებაც არ მიაქცია ჩემს წინადადებას. იმავე დღეს მე ვინახულე რკინის გზის ბატალიონის მესამე როტა, რომლის თავხედობა და რევოლიუციონური განწყობილება უკიდურეს

ხალხს. მეორე რაზმი „ხაზინისკენ“ გაწევს. ჩვენი ვალია ხალხს ჩავაგონოთ, რომ ფული არ გაიტაცოს. რამდენიმე სანდო ამხანაგს უნდა დაევალოს ფულის შენახვა ქალაქის საიმედო ნაწილებში. ფულის ერთი ნაწილი კი „ხაზინაში“ დარჩება, რომლის დასაცავათაც იქვე შესდგება შეიარაღებული რაზმი. უკიდურეს შემთხვევაში ბარიკადებით დავიცავთ „ხაზინას“. ერთგან რომ „უპრავას“, „ხაზინას“ და არსენალებს ვიპყრობთ, მეორეგან იმავე დროს ბარიკადებს ვაშენებთ, რა თქმა უნდა, სხვა რაზმების შემწეობით. თუ როგორ უნდა აშენდეს ბარიკადები, ამაზე მერე ვილაპარაკოთ. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ შეცდომას, რომელიც რამდენჯერმე დაუშვეს საფრანგეთის რევოლიუციონერებმა თავიანთ სამხედრო მოქმედებაში. მაგალითად, 1851 წლის 3 ქრისტეშობისთვეს ბარიკადა ააშენეს სენ-ანტუანის გარეთ უბანში (ამ ბარიკადაზე მოკლეს დეპუტატი პიერ-ბოდენი). რესპუბლიკანელნი წინდაწინვე იყვნენ მოლაპარაკებული და პირდაპირ ბარიკადისკენ გაემართენ; მარა ბასტილიის მხრიდან მოვიდა ჯარი და სწრაფათ აიღო ბარიკადა. რესპუბლიკანელებს რომ სათადარიგო რაზმი ჰყოლოდათ, უეჭველია, ეს რაზმი ზურგიდან მოუვლიდა ჯარს, ჯარი აირ-დაიროვდა და ბარიკადა დიდხანს გასტანდა. აჯანყების დროს, ჩვენ ძალიან გამოგვადგება იაპონელების შესანიშნავი ტაქტიკა—ზურგიდან მოვლა. გეხსომებათ ჰიუგოს მოთხრობა რესპუბლიკანელებისა და ვანდელების ბრძოლაზე, სადაც რესპუბლიკანელების პაწია რაზმმა სასტიკათ დაამარცხა ვანდელების ვეება ჯარი, რადგანაც ხერხიანათ მოუარა ზურგიდან.

ლაპარაკი არ უნდა, რომ ჩემ მიერ დახატული აჯანყების სურათი უნაკლულო არაა. ცხადია აგრეთვე ის, რომ თითონ აჯანყების დროს არ შეიძლება ყველაფერი მოესწროს. და სწორეთ იმიტომაა საჭირო ადრე მომზადებული შეხვედეთ ამ დროს; სწორეთ ამიტომაა საჭირო დღევე შევისწავლოთ ჩვენი ძალები და ეხლავე შევეჩვიოთ მათს განაწილებას. ყველა რაზმს თავისი დანიშნულება უნდა ჰქონდეს; ამასთანავე საჭიროა თვითეულმა რაზმმა იცოდეს, რომ აჯანყების დროს შეიძლება საჭირო დარჩეს დანიშნულების შეცვლა. ამიტომ თვითეულ რაზმს და თვითეულ წევრს ადრევე უნდა ჰქონდეს შესწავლილი ქალაქის აჯანყების „პლანი“. საჭიროა აგრეთვე, რომ აჯანყების დროს ძალები ტყუილ უბრალოთ არ იქსაქსებოდეს. კარგა უნდა ვიცოდეთ რომ ბარიკადებზე მივდივართ იმისთვის კი არა, რომ **თავისუფლებისთვის დავიხოცნეთ**,—არამედ იმისთვის, რომ **თავისუფლებისთვის გავიმარჯვოთ**. ქალაქის ყველა უბანში ცალკე ორგანიზატორი უნდა იყოს, რომელიც გარშემო შემოიკრებს ძალებს და საჭიროებისამებრ გაანაწილებს. ლაპარაკი არ უნდა, რომ რაზმების თვითეული წევრი ზედმიწევნით უნდა იცნობდეს როგორც ქალაქის ქუჩებს, ისე ქუჩების მიხვეულ-მოხვეულებს.

წარმოვიდგინოთ, რომ ქალაქის მართვა-გამგეობა ხელში ჩავიგდეთ. რა გზას უნდა დავადგეთ შემდეგ? ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა ზომებს მივმართავთ ძლევამოსილი აჯანყების პირველ დღეებში. ოცნება იქნებოდა, თუ ყველა ქალაქში ვეცდებოდით დღეს კომუნის მოწყობას. ეს ჩვენი ძალების ტყუილ-უბრალო დაფანტვა იქნებოდა და მეტი არაფერი. დავიპყრობთ თუ არა ქალაქს, მაშინვე უნდა შევუდგეთ:

1. ქალაქის დაცვას მეფის ჯარებისგან, რომლებიც შეიძლება სხვა ქალაქებიდან დაგვესხას;

2. ჩვენი პროგრამა-მინიმუმის განხორციელებას და

3. დროებით მთავრობის მოწყობას.

რევოლიუციონურმა მთავრობამ ყველაზე პირველათ ხალხის შეიარაღებას უნდა მოკიდოს ხელი. ქალაქის მილიციის შედგენა—აი რა უნდა იყოს მისი პირველი ზომა. ყველა მოქალაქე, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლიან (ვთქვათ, 20 წლიდან 40-მდე), მილიციაში უნდა შედიოდეს მაშინვე უნდა დაიყვნენ რაზმებათ და თოფ-იარაღის ხმარებას შეუდგნენ.

სოციალდემოკრატების მოვალეობაა ადრევე შეისწავლონ ქალაქის მეურნეობა, რომ ღირსეული ხელმძღვანელობა გაუწიონ ქალაქს. უნდა აირჩიონ დელეგატები სამხედრო საქმეებისთვის, ფინანსიური მეურნეობისთვის, ვაჭრობა-მრეწველობისთვის (აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფისა და ტრანსპორტისთვის), საერო განათლებისთვის, შრომის დაცვისთვის და იუსტიციისთვის. ეგრეთ წოდებული შინაკანი საქმეები სამხედრო საქმეებს უნდა მიეწეროს.

ქალაქის დროებითმა მთავრობამ მეორე დღესვე უნდა მიმართოს მოქალაქეებს, რომ რაც შეიძლება ჩქარა აირჩიონ ქალაქის საბჭო საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და დახურული კენჭის ყრით. არჩევნები კვირა დღეს უნდა მოხდეს და ამრჩევლებათ უნდა ითვლებოდეს ყველა 20 წლის მოქალაქე, ქალი და კაცი. ამავე დროს უნდა გამოცხადდეს თავისუფლება ბეჭდვის, სიტყვის, კრების, გაფიცვის და კავშირის. რევოლიუციონური მთავრობა თითონვე უნდა იწვევდეს კრილობებს, სადაც ჩვენი ამხანაგები დაწვრილებით გააცნობენ მოქალაქეებს არჩევნების წესს და მათ მნიშვნელობას. რაც უფრო ჩქარა აირჩევენ ქალაქის სახალხო საბჭოს, მით უფრო კარგი იქნება. ლაპარაკი არ უნდა, რომ ძალიან ძნელია წინდაწინვე გავიგოთ, თუ როგორი იქნება საბჭოს უმეტესობა — ეს სრულიათ დამოკიდებულია მოქალაქეთა ვინაობაზე; უეჭველია, სხვა და სხვა ქალაქში სხვა და სხვა ჯურის საბჭო იქნება. ამიტომ დროებითი მთავრობის მოვალეობაა ქალაქის ცხოვრებაში გაატაროს ის რეფორმები, რომლებიც ჩვენს პროგრამა-მინიმუმში მოყვანილი: უფასო და სავალდებულო სწავლა-განათლება ორივე სქესის ბავშვებ სთვის 16 წლამდე: სახელმწიფო საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი და სასწავლო ნივთები ღარიბი ბავშვებისთვის; შრომის ინტერესების დაცვა, რომელიც პროგრამის თექვსმეტ მუხლშია აღნიშნული (გარდა მერვე მუხ-

წერტილამდე აღწევს. 16 ივნისს, დღისით, რკინის გზათა უფროსის თხოვნით, ვოგზალზე სტრელკების მესამე ბატალიონი გავგზავნე. ამ ბატალიონის ვაგზალზე მისვლამ რკინის გზის ბატალიონში მღელვარება გამოიწვია, მესამე როტის ჯარის კაცებმა თოფები დამალეს და „ურას“ ყვირილით სტრელკებთან გაიქცენ. სტრელკებმა სიამოვნებით მიიღეს ესენი. ჯარის კაცებს შეუერთდენ მუშები და სტრელკების მესამე ბატალიონის ორი როტა. სალდათები დაიშალენ და ყაზარმებში წავიდენ. საღამოს დიდი მიტინგი გამართეს. მეორე ბატალიონის მაგალითს მიყვენ და განაგრძონ მღელვარება. გარნიზონის გასაძლიერებლათ მერვიდან ერთი ბატალიონი ჯარის კაცები, 100 ყაზახი ყუბანელ ყაზახთა ბატარეია გამოვიწვიე. გენ.-გუბერნატორი კოსაგოვსკი.

13 ივნისს ქალაქ პენზის ორ პოლკში მღელვარებამ იჩინა თავი. აქაურ სალდათებს მთავრობამ აუკრძალა ყაზარმებიდან 50 ნაბიჯის მანძილს იქით წასვლა. ყაზარმებს მესრების ღობე შემოარტყეს. სალდათებმა ამოთხარეს სარები, მიტინგი გამართეს და სხვა და სხვა მოთხოვნები წარადგინეს.

ქალაქ კურსკში ჯარების მღელვარებაა, მთელი გარნიზონი საერთო გაფიცვას აპირებს. ჯარის კაცებს განზრახვა აქვთ აგრარულ მოძრაობისთვის დატუსაღებული გლეხები გაანთავისუფლონ საპყრობილედან.

**აგრარული მოძრაობა მძვინვარებს:** ხარკოვის, ჩერნიგოვის, გროდნოს და პოლტავის გუბერნიებში.

— შავ რაზმელთა მეთაურმა დუბროვინმა შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო მოსკოვიდან: „მთელი ტამბოვის გუბერნია გლეხთა მოძრაობამ მოიცვაო; გუბერნატორი არ ამხელს ამას. გადაეცით, სადაც ჯერ არს. იზნობიშინი“

---

ლისა, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია სახელმწიფოს დაუხმარებლათ; მოსპობა გადასახლებისა, რომლებიც მძიმე ტვირთათ აწევა პროლეტარიატს, ხელოსნებს და წვრილ ვაჭრებს; პროგრესიული გადასახადების შემოღება შემოსავალზე და მემკვიდრეობაზე ქალაქის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ.

დროებითი მთავრობის მოვალეობაა აჯანყების პირველი დღიდანვე მიიღოს დროებითი ზომა და პური დაურიგოს ყველა გაჭირვებულს; მანვე უნდა გაალოს თავშესაფარი უადგილოთ დარჩენილებისთვის.

მაშ ასე, დროებითი მთავრობა ადგენს საქალაქო მილიციას და ამით ამზადებს ის სახალხო არმიას, რომელიც თავგამოდებით დაიცავს ხალხის თავისუფლებას; დროებით მთავრობას გაჰყავს სხვა და სხვა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული რეფორმები და მით ქვეყანას ამცნობს, რომ ჩვენი პროგრამა-მინიმუმი ლითონი სიტყვა არაა, რომ ის საგრძნობელი იარაღია მუშების ხელში, რომლისაც თავგანწირვით დაიცავს პროლეტარიატი; დროებითი მთავრობის მოწვეული გადასახადი შემოაქვს და მით თანაგრძნობას პოულობს ქალაქის წვრილ ბურჟუაზიაშიც.

რაცა ქალაქის დროებითი მთავრობა თავის საქმეებს შეასრულებს, მას შეუძლიან სრული დამშვიდებით ამზადოს საერთო აჯანყების გამარჯვება და ძლევამოსილად შემუსროს უხეირო იერიშები უხეირო თვითმპყრობელობისა.

**გლეხები ორგანიზაციებს ადგენენ.** ამ ჟამათ სამხრეთ-დასავლეთ გუბერნიებში „გლეხთა დეპუტატების საბჭოები“ სდგება. დეპუტატებს საყოველთაო კენჭისყრით ირჩევენ. საბჭომ უნდა ხელმძღვანელობა გაუწიოს გლეხთა გაფიცვებს. უნდა სათავეში დაუდგენ გლეხთა მოძრაობას და მოაწესრიგონ მათი მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა სათათბირო დაითხოვეს.

---

# დეპეშები

(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)

23 ივნისი.

**პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბირო.** (გაგრძელება). **რამიშვილი** სოც.-დემოკრატების სახელით აცხადებს, რომ არ ეთანხმება უმრავლესობის აზრს და ამ საკითხის შესახებ ს.-დემოკრატების დეკლარაციაზე, მიუთითებს. ბევრი კამათის შემდეგ კანონ-პროექტი მიიღეს შემდეგი რედაქციით: „1906 წლ. ანგარიშიდან გადაიდვას 15 მილიონი მანეთი დაშეულთათვის იელისის განმავლობაში დახმარების აღმოსაჩენათ; დაევალოს ფინანსთა მინისტრს 1906 წლის ანგარიშის გადახედვა და შემოკლება, და ამის შესახებ კანონ-პროექტი სათათბიროში უნდა შემოიტანონ არა უგვიანეს 23 ივლისისა. მინისტრი შემდეგშიაც უნდა შეეკითხოს სათათბიროს ამ საქმის შესახებ. 15 მილიონის ანგარიში მინისტრმა ყოველ თვეში უნდა საყოველთაოთ გამოაცხადოს“. შახოვსკოი წინადადებას იძლევა გადაიდვას მინისტრეთთან ამ საქმეზე მოლაპარაკება 13 ივლისამდე. შემდეგ კომისიაში გადაიცა რამდენიმე შეკითხვა, სხვათა შორის მოსკოვში ბეჭდვითი საქმის კავშირის თავმჯდომარის დატუსაღების და თბილისის ამბების შესახებ. სხდომა დაიხურა 10 საათზე და 15 წუთზე.

**უფა.** 700 სტრაიკები, რომლებმაც ბაშკირებს ტყის გაჩეხა არ დანებეს, ბაშკირებმა ქაობში ჩაყარეს, ბევრი სცემეს, და მერე დაუხრჩეს ექვსი ცხენი.

**ოდესა.** გათავდა მეზღვაურთა გაფიცვა.

**ლონდონი.** გაზეთი „სტანდარტი“ ბალტიის ზღვაში ინგლისის ესკადრის გამოსვლის შესახებ ამბობს, რომ თუ რუსეთის პორტს ინგლისის ესკადრა არ ესტუმრება, ეს არა თუ რუსეთის ხალხის შეურაცხყოფათ ჩაითვლება, ე რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევა იქნება. გაზეთი დარწმუნებულია, რომ რამდენიმე თვეში ინგლისი და რუსეთი სრულიად დამეგობრდებიან და ამას შედეგათ რუსეთის ქვეშევრდომთა კონსტიტუციონური უფლების გაფართოვება მოყვება.

**იუზოვკა.** მაღაროების მუშებმა კაზაკების კაზარმასთან მანიფესტაცია გამართეს. ჯარმა ესროლა. დაჭრილები ბევრია.

**კამიშინი.** ძველ ქალაქში 22 ივნისს შესდგა მრავალრიცხოვანი კრება. ხალხს ახალქალაქში შესვლა უნდოდა, მაგრამ პოლიციელებმა ესროლეს და გაფანტეს. არავინ არ დაშავებულა. მეორე დღეს ხალხი ქუჩაში დადიოდა და მაღაზიებს აკეტინებდა. ყველაფერი შეჩერდა. შესდგა უშველებელი მიტინგი „დუმის“ დეპუტატ კალიანოვის მონაწილეობით. უთვალავმა ხალხმა წითელი დროშებით და მარსელიეზის მღერით ქალაქის ქუჩები მოიარა. შეტაკება არ მომხდარა.

**პოლტავა.** ერთი კვირის გაფიცვის შემდეგ თ. კოჩუბეის ეკონომიის მუშებმა მუშაობა დაიწყეს. მათ ხელფასი მოუმატეს.

**ტულა.** სასამართლომ გაარჩია ბოროდსკის მაზრაში აგრარული მოძრაობის საქმე. 23 გლეხს სამ-სამი თვის ციხე მიუსაჯეს, 13 გაამართლეს.

**სოხუმი.** აქაურ სატუსაღოში სალდათმა მოკლა ტუსაღი გოტოშია ხელმწიფე იმპერატორის შეურაცხყოფისათვის.

24 ივნისი.

**პერმი.** თუთხმეტჯერ ესროლეს უზნის ზედამხედველს, ზედამხედველი დაიჭრა.

**ვარშავა.** სამხედრო სასამართლომ ვალჩევსკის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა შეიარაღებული თავდასხმისათვის და ლვინის დუქნის გაძარცვისთვის.

**კალუგა.** გუბერნატორმა გამოსცა დადგენილება, რომლის ძალითაც აკრძალულია სახლებში შევარდნა და ძალათ მუშაობაზე ხელის აღებინება. მუშებში ვრცელდება 15 აპრილის კანონი, რომლის ძალითაც სოფლის მუშებს გაფიცვა ეკრძალებათ.

**ვენა.** ავსტრო-უნგრეთის დელეგაციამ სხვათა შორის მიიღო რეზოლიუცია, რომელშიდაც გააგის კონფერენციის ავსტრო-უნგრეთის წარმომადგენელს წინადადება ეძლევა შეიტანოს წინადადება ყველა სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების თან და თან მოსპობაზე.

**პეტერბურგი.** აგრარულმა კომისიამ მიიღო აგრარული კანონ-პროექტის პირველი მუხლი შემდეგი რედაქციით: „მშრომელი გლეხობის მიწათ-მფლობელობის გასაფართოვებლათ საჭიროა: 1) მეურნეობისთვის გამოსადეგი სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამინისტრო და საეკლესიო მიწები; 2) ძალდატანებული ჩამორთმევის საშუალებით დაწესებულებათა და კერძო მესაკუთრეების მიწები.

**ლონდონი.** ლონდონის გაზეთებში მოყვანილია „ტაიმსი“-ს კორესპონდენტის და ტრეპოვის საუბარი. ეხლანდელი კრიზისიდან გამოსასვლელათ, ტრეპოვის აზრით, საჭიროა „დუმის“ ცენტრიდან შემდგარი სამინისტრო; რუსეთის არეულობებს (სმუტა) კი ტრეპოვი ებრაელების აგიტაციას აბრალებს. ტრეპოვი უარყოფს ურუსოვის ბრალდებას, ვითომ ებრაელების აკლება ცენტრალური მთავრობის მოწყობილი იყოს და ამნისტიის საშინელი წინააღმდეგია ახლა, როდესაც გაზეთები ჭრელებულია მოკლულ პოლიციელთა გვარებით. ის სიკვდილით დასჯას არ ემხრობა და ამბობს, რომ ის არ არის დიქტატორი, ის სამინისტროს სრულიათ არ უშლი ხელს. აგრარულ საკითხში ტრეპოვი ექსპროპრიაც ის წინააღმდეგია და მთავრობის პროექტს ემხრობა.

**პეტერბურგი** კატორგის რეორგანიზაციის საკითხი ციხეების უმთავრეს სამმართველოში გაირჩევა. რადგანაც სახალინში გადასახლება მოისპო, დამნაშავენი ტობოლის გუბერნიაში გაიგზავნებიან. მაწანწალებს (ბროდიაგებს) ციმბირში გაგზავნის მაგიერ ციხეში ჩასვამენ.

**ხარკოვი.** მოსკოვის სამხაზრო მატარებელმა ძალიან დაიგვიანა. მიზეზი ის იყო რომ სადგურ იუზოვს მახლობლათ მოხდა უშველებელი მიტინგი, რომელსაც 10,000 მუშაზე მეტი დესწრო, გამოიწვიეს დრაგუნები და კაზაკები, რომლებმაც ხალხი გ როლეს. დაიჭრა ბევრი, ბევრიც დაიჭირეს. იუზოვს არეშარეში მოძრაობა სულ უფრო ძლიერდება.

**პეტერბურგი.** ჩელიაბინსკში 1905 წ. 6 თვის განმავლობაში მისულა 63,119 გადასახლებული და 23,588 „ხოდოკები“. გადასახლებულების რიცხვი 3 ჯერ მეტია ვინემ წინეთ და „ხოდოკების“ 15. საერთოთ მოძრაობა 4-ჯერ მეტია წინანდელზე. ასეთი მოძრაობა ომის დროსაც კი არა ყოფილა. 1903 წლის პირველ 5 თვეში ციმბირისკენ მხოლოთ 80,253 კაცი წავიდა აუარება ხალხი მიდის აგრეთვე ორენბურგ-აკტუბინსკში. მაისის განმავლობაში ამ გუბერნიებში 13,000 კაცი მოვიდა გადასახლებულების ნაწილი ციმბირში წავიდა. ჯერ არ არის გამოკლებული რამდენი კაცი გადასახლდა სულ ციმბირში, მარტო აკმოლინის ოლქში 1 ივნისს 15,000 გადასახლებული იყო. ენისეის ოლქში 90,000 გადასახლებულია.

25 ივისი.

**ოდესა.** დილას გემებზე მუშაობა დაიწყეს. შუადღეზე მუშაობა ისევ შეწყდა, რადგანაც 4 მატროსის მაგივრათ მხოლოდ 3 გაანთავისუფლეს ციხიდან. გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტი მატროსების მიტინგზე გამოცხადდა და მოლაპარაკება გამართა გაფიცულებთან. დაადგინეს გაფიცვის შეწყვეტა.

— ბოლგარელ ტოდიაროვს 2 ყუმბარა და 150 პატრონა უპოვეს. ტოდიაროვს სულთანის სიკვდილის განზრახვა ბრალდება.

**ხარქოვი.** ღამე მოხდა მკვლელობა. მოკლეს ვაჭარი პეტროსოვის ცოლი, დასჭრეს პეტროსოვი და პატარა ქალი. მკვლელები ქურდები იყვნენ.

**ვილნო.** განზრახ ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს 11 სახლი და 13 შენობა. 10.000 მან. ზარალია. უსახლკაროთ დარჩა 26 ოჯახი.

**პეტერბურგი.** ევროპის რუსეთში წელს მოსავალი საშუალო იქნება.

**კრონშტადი.** დღეს სამხედრო საზღვაო სასამართლოში სიტყვები წარმოსთქვეს ბრალდებულების დამცველებმა — ისინი ბრალდებულების განთავისუფლებას ითხოვენ. უკანასკნელათ ილაპარაკა ადმირალმა როჟდესტვენსკიმ. იმან სთქვა, რომ როგორც ყველაზე უფროსი სამხედრო პირი, მარტოთ ის უნდა იყოს პასუხის მგებელი ყველაფერში: „ბატონო მსაჯულებო, გაათავა როჟდესტვენსკიმ რუსეთის ხალხი და ფლოტი ნდობის თვალით გიცქერის თქვენ. ხალხი ჩემ დასჯას ელის“.

**ვარშავა.** ვარშავა-ვენის რკინის გზის დამცველმა კომიტეტმა, რკინის გზის გაფიცვის მოლოდინში გააფრთხილა მოსამსახურეები, და მოაგონა მათ, რომ თავის ნებით სამსახურის მიტოვებისთვის მოსამსახურეები დაისჯებიან 4—8 თვეს ციხეში დატუსაღებით, გაფიცვებისთვის კი მათ სამხედრო სამართალში მ ცემა ელის.

**ბელოსტოკი.** ახლათ მოსული გენერალი ბალუევი ებრაელების აკლების დროს ჯარის მოქმედების გამოძიებას შეუდგა.

**კეტერბურგი.** ქალაქის საზოგადო სამმართველოში ვიღაცას გაუფლანგავს 27,000 მან.

**გროდნა.** ვერსტის მაზრაში გლეხები გრაფინია პოტოცკაიას მამულიდან მუშების გარეკას სცდილობდენ. სალდათების როტამ ესროლა გლეხებს. დაჭრილია 7 გლეხი.

**პოლტავა.** ხარკოვის სამოსამართლო პალატამ შეაჩერა სოციალდემოკრატიული გაზეთი და ჟურნალი „ნაკანუნე“.

**მინსკი.** გლეხთა ბანკის განყოფილებას მემამულეებმა 420,000 დესიატინა მიწის ყიდვა სთხოვეს.

**იაროსლავი.** „ნამდვილ რუსთა კავშირმა“ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს გზუზუნოვს დეპეშა, რომელშიც სთხოვს იშუამდგომლოს ხელმწიფესთან სამხედრო დიქტატურის შემოღება.

**ზემლიანსკი.** (ვორონეჟის გუბ.) მაზრაში გლეხებმა მიაჯეს მემამულეების ეპირი. სოფლებში გაფიცული არიან. გლეხები ძალაუ ატიოდეობინებენ სამუშაოს ეკონომიის მუშებს, ზოგ სოფლებში გლეხები არბევენ მემამულეებს.

რედ.-გამომცემელი **ნ. ახმეტელაშვილი**

მსწრაფ-მბეჭდავი „ლამპარი“ სემინოვის ქუჩა № 4.